ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 1323090001**
თარიღი:**31/03/2023**

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ზე მეტი ფასთა კლებით გამოცხადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ზე მეტი ფასთა კლებით გამოცხადებაზე, კერძოდ:

   ა) VAZ-21213 მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომრით QV-344-VQ, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) N XTA21213021585937, გამოშვების წელი 2002, ფერი წითელი 8/8.

   ბ) SUZUKI GRAND VITARA მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომრით KA-308-AK, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) N JSAJTA74V00671241, გამოშვების წელი 2013, ფერი ყავისფერი 7/8.

2. ყოველი განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში ფასთა კლება მოხდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არ უმეტეს 10% -იანი ნამატით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი